GCSD საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი

ანგარიში ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ

2022

2022 წლის ანგარიში ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ

სარჩევი

03.
შესავალი

05.
უსაფრთხოების ხელშეწყობა

15.
ეთნიკური უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

21.
საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობა

23.
სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

26.
GCSD-ის დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები

აღსაგები

საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტაბილურ და დემოკრატიულ განვითარებას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2022 წელი GCSD-სთვის წარმატებული და, ამავე დროს, საკმაოდ დატვირთული გამოდგა. საქმიანობის არსებულ სფეროებს არაერთი ახალი მიმართულება დაემატა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდა და გააფართოვა ორგანიზაციის მოქმედების არეალი. ჯამურად, გასულ წელს 12 ახალი პროექტი დაიწყო, ხოლო პროექტების საერთო რაოდენობამ წლის ბოლოსთვის 19 შეადგინა.

ახალ მიმართულებებს შორის გამორჩეული ადგილი კიბერუსაფრთხოებამ დაიკავა. აღნიშნული სფეროს განვითარების ხელშესაწყობად ორგანიზაციის ბაზაზე დაფუძნდა ახალი ერთეული - კიბერმედეგობის ცენტრი (CRC), რომელიც ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) და შავი ზღვის თანამშრომლობის ცენტრის (BSCC) მსგავსად თემატური აქტივობებით დაკავდება. მისი მიზანი საზოგადოებაში კიბერუსაფრთხოების მიმართ მედეგობის გაძლიერება და თემატური საგანმანათლებლო რესურსების შექმნაა, ინტერდისციპლინური ცოდნის დაგროვებისა და გაზიარების გზით. ცენტრმა ხელი უნდა შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ სპეციალიზებული კვლევითი და საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

ახალ მიმართულებებთან და სამუშაო დატვირთვის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ორგანიზაციის გუნდი. ორგანიზაციაში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა ამჟამად 18-ს აღწევს, რაც თავის მხრივ შემდგომი წარმატებისა დაგანვითარების საფუძვლიან წინაპირობას ქმნის. აღსანიშნავია, რომ დამწყებ საფეხურზე, ახალ თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (6 ადამიანი) GCSD-ის ყოფილი სტაჟიორია. GCSD სისტემატიურად ახორციელებს სტაჟირების პროგრამას, რითიც ხელს უწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების კარიერულ ზრდას.

GCSD-ის განვითარებისა და დადებითი დინამიკის კიდევ ერთი მაჩვენებელი ახალი თანამშრომლობის მაგალითებია, რომლებიც არაერთ წარმატების მქონე ორგანიზაციასთან დაიწყო, მათ შორის როგორც აკადემიური, ისე კერძო თუ საჯარო სფეროს ინსტიტუტებთან. პარტნიორობის მემორანდუმები გაფორმდა ისეთ ორგანიზაციებთან როგორიცაა ცენტრალური აზიის ამერიკული უნივერსიტეტი, ADA-ს უნივერსიტეტის (აზერბაიჯანი) განვითარებისა და დიპლომატიის ინსტიტუტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (თბილისი), მინიოს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სკოლა (პორტუგალია), ნორვეგიული საპროდუსერო კომპანია - Fuuse, და სხვა. ამასთან, GCSD გახდა ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი.

2022 წლის განმავლობაში:

- ჩატარდა 48 ტრენინგი/სიმულაციური სწავლება (მონაწილეობა მიიღო 939-მა ადამიანმა)
- შემუშავდა 3 თემატური სახელმძღვანელო
- გაიცა 6 ქვე გრანტი
- შემუშავდა 3 სასწავლო პროგრამა/ონლაინ სასწავლო მოდული
- მომზადდა 29 კვლევა/პუბლიკაცია
- ჩატარდა 17 დისკუსია
- კონტრაქტი გაფორმდა 46 ექსპერტთან
- ჩატარდა 296 საინფორმაციო შეხვედრა/კონსულტაცია

2022 წელს განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა

უსაფრთხოების ხელშეწყობა

საქართველოში უსაფრთხოების ხელშეწყობა, დაარსების დღიდან GCSD-ის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მაღალი დონის უსაფრთხოების მიღწევა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქვეყანაში კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისთვის. ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე ეპოქაში უსაფრთხოება და მისი გაგება მრავალშრიანია და არაერთ კომპონენტს მოიცავს. აღნიშნულის შესაბამისად, GCSD-ის მიდგომა კომპლექსურია და აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებებს. 2022 წელს GCSD მუშაობდა ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის, საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის გაზრდის, მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენციის, კიბერუსაფრთხოებასა და სხვა მიმართულებებზე, რითაც თავისი წვლილი შეიტანა ქვეყანაში უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებაში.

ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია

საქართველოში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტს წარმოადგენს. ამ კუთხით არსებული გამოწვევები საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას.

2022 წელს, GCSD-მ, აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. კერძოდ, პროექტის „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, მოხდა როგორც სახელმწიფოს შესაძლებლობების ზრდა ისე საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება.

2022 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ექსტრემისტული ნარატივების კვლევა - GCSD-მ ჩაატარა მასშტაბური კვლევა[1] და შეიმუშავა დოკუმენტი რომელიც მოიცავს საქართველოში ულტრა მემარჯვენე და ჯიჰადისტური ჯგუფების

1. https://www.gcsd.org.ge/ge/publications/show/102

მიერ გავრცელებულ ნარატივებს. კვლევა წარედგინა საქართველოს მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის წარმომადგენლებს;

- **ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმა** - 2022 წელს გაიმართა ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ორი შეხვედრა 19 სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტისა და თემატური არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით, სადაც GCSD-მ წარადგინა ტერორიზმის და ძალადობრივი ექტრემიზმის შესახებ მომზადებული წლიური ანგარიში. მხარეებმა განიხილეს ტერორიზმთან, ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები ქვეყანასა და მთელს რეგიონში.

- **ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკის შეფასების სწავლება** - GCSD-მ ორგანიზება გაუწია სამდღიან პროფესიულ სასწავლო პროგრამას - „VERA-2R ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკის შეფასება“. მასში მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს (სათემო თანამშრომლები), სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა;

- **პარლამენტის შესაძლებლობების ზრდა** - საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის ჩატარდა სამდღიანი სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია: გამოწვევები და მათთან გამკლავების გზები“. ღონისძიებაში პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის 16-მა წევრმა მიიღო მონაწილეობა;

- **ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შესაძლებლობების განვითარება** - საქართველოს სამ სხვადასხვა რეგიონში (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი და აჭარის რეგიონები) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სამი ტრენინგი ჩატარდა. საერთო ჯამში, ტრენინგი გაიარა 80-მა ბენეფიციარ-მა;

- **სამოქალაქო საზოგადოების აქტორების გაძლიერება** - GCSD-მ სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმთან ერთად ჩაატარა 2 ონლაინ ტრენინგ-სესია რადიკალ და ექსტრემისტულ ნარატივებზე სკოლის მასწავლებლებისთვის. მთლიანობაში, საქართველოს მასშტაბით 56 პედაგოგი გადამზადდა;

- **უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა** - GCSD-მ შეიმუშავა შესაბამისი P/CVE სასწავლო გეგმები და გაუზიარა ხუთ უნივერსიტეტს (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი);

- **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება** - საქართველოში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე ქვეგრანტების სახით გაიცა 200,000 ლარი. დაფინანსებული პროექტები ორიენტირებულია ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე ეროვნულ დონეზე პოლიტიკის ცვლილებების ადვოკატირებაზე.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის განმავლობაში აქტიურ მუშაობას აგრძელებდა GCSD-ის ბაზაზე არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC). ცენტრის მიერ, 2022 წლის განმავლობაში, მომზადდა და გამოიცა 8 კვლევითი დოკუმენტი. მათ შორისაა [წლიური ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ](2). აღნიშნული წარმოადგენს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო მედია პლატფორმებზე გავრცელებული ინფორმაციის შემაჯამებელ ანგარიშს, რომელიც მეტწილად ტერორიზმის კვლევითი ცენტრისავე მომზადებულ ახალი ამბების ყოველკვირეულ მიმოხილვას ეყრდნობა.

2. https://www.gcsd.org.ge/ge/publications/show/110
3. https://www.gcsd.org.ge/ge/publications/show/111

ამასთანავე, დავით ჭოჭუას სახელობის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, ტერორიზმის კვლევითმა ცენტრმა (TRC) მიმდინარე წელს ტერორიზმის კვლევის ჟურნალის მე-3 გამოცემაში[3] გამოქვეყნდა 4 ნაშრომი. თითოეული ნაშრომის ავტორს გადაეცა დავით ჭოჭუას სახელობის სტიპენდიები.

მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით პოლიტიკური მკვლელობების პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება

GCSD-ის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) გამოყენებით პოლიტიკური მკვლელობების პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს. ამ კუთხით ორგანიზაცია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, კოოპერატიული საფრთხეების შემცირების ოფისის (CTR) მხარდაჭერით შესაბამის პროექტს ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას, მისი მედეგობისა და დაცულობის ზრდას, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეებიის გამოვლენას და რეაგირებას.

პროექტი ხელს უწყობს პარტნიორების ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ამზადებს მათ შესაბამისი სცენარებისთვის და ზრდის მათი სტრატეგიული კომუნიკაციის უნარებს შესაბამისი გამოწვევის საინფორმაციო განზომილების საპასუხოდ. პროექტში ჩართულია ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების უწყებათაშორის კომისიაში შემავალი ყველა სახელმწიფო უწყების შესაბამისი დეპარტამენტი, და უწყებებში მომუშავე პირველადი მორეაგირეები და სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტების წარმომადგენლები.



2021-2022 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ჩატარდა საბაზისო კვლევა, რომლის შედეგად გამოვლინდა პროექტში ჩართული უწყებების შესაძლებლობები და საჭიროებები. კველვის შედეგებზე დაყრნობით შემუშავდა ქბრბ საბჭოსთვის განკუთვნილი ტრენინგები;

- განხორციელდა ორდღიანი სწავლება თემაზე: „მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) გამოყენებით მკვლელობის მცდელობები და დეზინფორმაცია“. სწავლების მიზანი იყო ქბრბ კომისიის წევრების ფუნდამენტური ცოდნით აღჭურვა გაუვრცელებლობის სფეროში არსებული ტენდენციების, WMD აგენტების პოლიტიკური მკლველობებისთვის გამოყენების მზარდი საფრთხისა და მასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის შესახებ;

- ჩატარდა ორდღიანი სწავლება ,,მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით შესრულებული მკვლელობების გამოძიების მეთოდებისა და ტაქტიკების” შესახებ, ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში შემავალი წევრებისათვის, სპეციალისტებისა და პირველადი მორეაგირეებისათვის;

- განხორციელდა დასკვნითი უწყებათაშორისი სიმულაციური სწავლება, რომლის დროსაც შეფასდა პროექტში ჩართული უწყებების პროგრესი, კრიზისზე მათი სწრაფი რეაგირების უნარი და უწყებათაშორისი კოორდინაციის ხარისხი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში შემავალმა წევრებმა, შესაბამისი უწყებების სპეციალისტებმა და პირველადმა მორეაგირეებმა;

- ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი ჟურნალისტებისათვის თემაზე ,,ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების გამოწვევები და საქართველოს გამოცდილება”;

- შემუშავდა ონლაინ სასწავლო კურსი ,,მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმასთან და მკვლელობასთან გამკლავება".

საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ზრდის ხელშეწყობა

GCSD-ს საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მხრივ, ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით რიგით მეორე პროექტი - „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მხარდაჭერა" ხორციელდება. პროექტის მიზანია საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მხარდაჭერის გზით პოლიციასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ზრდის ხელშეწყობა. პროექტი ითვალისწინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრის სამსახურის შესახებ მოსახლეობაში ცნობადობის გაზრდას, ოფიცრების საჭირო ცოდნითა და უნარებით აჭღურვას, ასევე აღნიშნული სამსახურის ინსტიტუციური საჭიროებების კვლევას.

2022 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი აქტივობა. მათ შორის:

- ჩატარდა სწავლებები ადამიანის უფლებების სხვადასხვა საკითხებზე. გადამზადდა 45 მართლწესრიგის ოფიცერი ადამიანის უფლებების დაცვის ისეთ საკითხებში, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, პერსონალური მონაცემების დაცვა და სექსუალური შევიწროვება;

- მართლწესრიგის ოფიცრებისთვის შემუშავდა ახალგაზრდებთან მუშაობის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა მიიღო 15-მა ოფიცერმა, რა დროსაც მათ გაიარეს ტრენერთა ტრენინგი. სახელმძღვანელოს გარდა დამატებით მომზადდა სხვადასხვა საპრეზენტაციო მასალა;

- ჩატარდა სწავლება შშმ პირებთან კომუნიკაციაში, რომლის მიზანი იყო მართლწესრიგის ოფიცრების ცნობიერების დონის ამაღლება შშმ პირების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. ტრენინგის დროს ოფიცრებმა მიიღეს

ინფორმაცია სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდვის მქონე ადამიანებთან ურთიერთობების თავისებურებების შესახებ;

- ჩატარდა პარაოლიმპიური სპორტული ტურნირი ბოჩაში. ტურნირში მონაწილეობა თბილისის ყველა სამმართველოს ტერიტორიის მართლწესრიგის ოფიცერმა და ქალაქში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებელობის მქონე პირებმა მიიღეს;

- განხორციელდა ოფიცრების შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან, რომლის ფარგლებში მართლწესრიგის ოფიცრებმა ჩაატარეს პრეზენტაციები საკუთარი საქმიანობის გასაცნობად და გამართეს დისკუსიები უსაფრთხოების საკითხებზე;

- შემუშავდა სამაგიდო თამაში, რომლის ძირითადი მიზანი ახალგაზრდებში მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის გაცნობა და უსაფრთხოების საკითხებზე პრევენ-ციული აზროვნების წახალისებაა;

- მართლწესრიგის ოფიცრებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური ნიდერლან-დებში“, რომელსაც გაუძღვა ჰოლანდიელი ექსპერტი - მიჰიელ ჰოლტაქერსი. ექსპერტმა დამსწრეებს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენციის ხელშეწყობა

GCSD-ის საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს რეგიონში მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენციის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მხრივ, GCSD, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს რომელიც ხელს უწყობს საქართველოში მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან (ACW) პოტენციურ შემხებლობაში მყოფი პირებისთვის არსებულ რისკებზე ინფორმაციის მიწოდებასა და რუსეთზე დაკისრებული სანქციების ფარგლებში, რუსეთისთვის ACW-ის კომპონენტებზე წვდომის პრევენციას.

პროექტი მოიცავს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან მუშაობას. მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტებთან, სამინისტროებთან, ბიზნეს ასოციაციებთან,

ეროვნულ ბანკთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, ეროვნული უშიშროების საბჭოსთან, ლოგისტიკურ კომპანიებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. პროექტის განხორციელების პროცესში, GCSD-ის გუნდთან ერთად, ჩართული იქნებიან ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

პროექტით გათვალისწინებული აქტივობები მოიცავს - ACW-ის გავრცელების რისკებისა და სანქციების აღსრულების შესახებ ფინანსური და ოპერატიული შესაბამისობის სახელმძღვანელოს შემუშავებას, საჯარო და კერძო სექტორისთვის სასწავლო სესიების ჩატარებას, ACW-ის გავრცელების რისკების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებასა და რეგიონული კონფერენციის გამართვას.

მოხდა დაინტერესებული მხარეების გაცნობა და მიმდინარეობს მუშობა ACW-ის გავრცელების რისკებისა და სანქციების აღსრულების შესახებ ფინანსური და ოპერატიული შესაბამისობის სახელმძღვანელოზე.

კიბერუსაფრთხოების ხელშეწყობა საქართველოში

თანამედროვე სამყაროში, უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს კიბერთავდაცვა წარმოადგენს. კიბერუსაფრთხოება გამოწვევაა როგორც სახელმწიფო უწყებებისათვის, ისე სამოქალაქო და კერძო სექტორისათვის. კიბერთავდაცვის გასაძლიერებლად GCSD, აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „ინფორმირებული თემები მედეგი საზოგადოებისთვის“, რომლის კონკრეტული მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ეთნიკური უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებული პირებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) მცხოვრები საზოგადოების მედეგობის გაძლიერებას კიბერ და დეზინფორმაციული საფრთხეების მიმართ.

2022 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სამიზნე რეგიონებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები და ინტერვიუები, რის შედეგადაც პროექტის გუნდმა მოამზადა კიბერუსაფრთხოების და დეზინფორმაციის მიმართ მოწყვლადობის შეფასების ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე;

- პროექტის პარტნიორის საქართველოს ინფორმაციის და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრის (GITAC) ავტორობით მომზადდა სახელმძღვანელო კიბერუსაფრთხოების შესახებ;

- პროექტით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, GCSD-ისა და CRC-ის Facebook გვერდებზე, გაიმართა სამი დისკუსია ელექტრონული

არჩევნების უსაფრთხოების, კომერციული ბანკების როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურის და კიბერუსაფრთხოების აკადემიური სასწავლო პროგრამების შესახებ.

კიბერ კონსულტაციები საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან

რეგიონში კიბერუსაფრთხოების გარემოს უკეთ გასააზრებალად, საერთო ინტერესებისა და კიბერმდგრადობის მისაღწევად თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოსავლენად 2022 წლის 4-6 ივლისს, სამდღიანი ღონისძიება - „კიბერ კონსულტაციები საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან" გაიმართა. ღონისძიება ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტსა (EUISS) და GCSD-ს ერთობლიბი ორგანიზებით ჩატარდა.

სესიებზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: 1) კიბერდიპლომატიის კრიზისის გაგება: პოლიტიკისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა; 2) ციფრული ტრანსფორმაცია კრიზისში: ზრდის, უსაფრთხოებისა და (გეო)პოლიტიკის შეჯერება; 3) სახელმწიფო და სოციალური კიბერმდგრადობის გაძლიერება: რა როლი აქვს კიბერ დიპლომატიას; 4) კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა - კასკადურ ეფექტზე რეაგირება; 5) კიბერი ომის დროს: რას გვასწავლის ომი უკრაინაში კიბერ კონფლიქტის შესახებ; 6) საგარეო ჩარევასთან და ინფორმაციით მანიპულირებასთან გამკლავება; 7) თავდაცვის გაძლიერება კიბერ დიპლომატიის საშუალებით.

ღონისძიებაში მონაწილეობა 55 პირმა მიიღო. მათ შორის იყვნენ ევროკავშირის ინსტიტუტების და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაუმჯობესება

უსაფრთხოების სისტემის ეფექტური მუშაობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია გამართული ზედამხედველობის სისტემის არსებობა. აღნიშნული ხელს უწყობს უსაფრთხოების უწყებების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, რესურსების ეფექტურ გამოყენებას და სისტემური ხასიათის დარღვევების გამოაშკარავებას, აღმოფხვრას და მათგან დაცვას.

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად, GCSD, როგორც კონსორციუმის წევრი, „ბიენდეს ევროპასა (B&S Europe)“ და პოლიტიკისა და მართვის კოსალტინგ ჯგუფთან (PMCG) ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს ,,საქართველოში უსაფრთხოების სექტორის გარე ზედამხედველობის მხარდაჭერა“. პროექტის მიზანია, საქართველოში უსაფრთხოების სექტორის აქტორების ანგარიშვალდებულების გაზრდით ქვეყანაში გააძლიეროს ადამიანთა უსაფრთხოება. პროექტი აქცენტს აკეთებს სახალხო დამცველის აპარატის, სახელმწიფო აუდიტის, პარლამენტის და სხვა შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

პროექტი დაიწყო 2021 წლის აგვისტოში და განხორციელდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა. მათ შორის მოხდა სახალხო დამცველის ოფისის მანდატისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების, ასევე ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება. კვლევის ფარგლებში ჩატარდა როგორც სამაგიდო კვლევა ისე ინტერვიუები სახალხო დამცველის ოფისისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. მომზადებულ ანგარიშს თან დაერთო დარგის ექსპერტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციისა და შესაამისი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა პარლამენტის სასწავლო საჭიროებების კვლევა/ანალიზი. აღნიშნულ პროცესში ინტერვიუები ჩატარდა პარლამენტის წევრებთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. მომზადებულ ანგარიშს თან დაერთო რეკომენდაციები და სასწავლო გეგმა რომლის მიხედვითაც პარლამენტში უნდა დაიგეგმოს სხვადასვა სწავლებები და ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყო შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაებთან. შეხვედრა მიეძღვნა უსაფრთოების სექტორის მმართველობის საკითხს, და ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლს და სხვადასხვა ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხს. შეხვედრის დროს გამოიკვეთა არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ინტერესი საკითხისადმი და მათი შემდგომი თანამშრომლობის საჭიროება.

ეთნიკური უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, უმნიშვნელოვანესია მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება, მათი მედეგობის ზრდა და ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში. GCSD-ს ერთ-ერთ ამოცანაა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და მათი მედეგობის გაძლიერება, რა მიმართულებითაც ორგანიზაცია არაერთი წელია სხვადასხვა ინიციატივებს ახორციელებს.

ეთნიკური უმცირესობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების სიდუხჭირე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად GCSD შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და 'სვისკონტაქტის' (SwissContact) მხარდაჭერით განახორციელა პროექტი - „ეთნიკური უმცირესობებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა". პროექტი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო-ქართლში ეთნიკური უმცირესობების გაძლიერებას ისახავდა მიზნად არსებულ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. კერძოდ, დაეხმარა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს პროგრამის - "აწარმოე საქართველოში" (EG) მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების ათვისებაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- პროექტის ჯგუფმა და „აწარმოე საქართველოში" წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი ადგილობრივი კოორდინატორებისთვის, რათა უკეთ გაეგოთ „აწარმოე საქართველოში" გრანტების სქემის პრიორიტეტები;

- ადგილობრივ მეწარმეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და თვითმმართველობების წარმომადგენლებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრნენ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტიდან, კერძოდ, ახალციხიდან, ახალქალაქიდან, ნინოწმინდიდან, მარნეულიდან, დმანისიდან და გარდაბნიდან.

საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი მედიით გაშუქდა. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონის შვიდმა რეგიონულმა მედია-პლატფორმამ მოამზადა ვიდეო, აუდიო და წერილობითი კონტენტი როგორც ტელევიზიაში, ისე რადიოსა და სოციალურ ქსელში გამოსაყენებლად ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ამასთნავე, შემუშავდა „აწარმოე საქართველოშის“ დეტალური კომუნიკაციის/მედიის გეგმა ეთნიკური უმცირესობების პროგრამაში ჩართულობის გასაზრდელად;

- შეხვედრების დროს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, პროექტის ჯგუფმა მოამზადა სამაგიდო მიმოხილვის სამუშაო დოკუმენტი. ნაშრომი ასახავს ძირითად გამოწვევებს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მეწარმეებისთვის „აწარმოე საქართველოშის“ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამაში მონაწილეობისთვის;

- GCSD-ის გუნდმა, ჩართულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციით ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში შეიმუშავა სამოქმედო გეგმა პროგრამაში განაცხადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

- პროექტის გუნდმა ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან მეორე ეტაპზე გადასული აპლიკანტებისთვის ინტერვიუს მოსამზადებელი ტრენინგები ჩაატარა.

გარდა აღნიშნულისა, GCSD ცდილობს ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობას ინდივიდუალური პროექტების დაფინანსებით. მათ შორის 2022 წელს, GCSD-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტები **‘გააციფრულე მომავალი’** და **‘ვიზუალური განათლების ცენტრი პანკისის ხეობაში: ალტერნატიული განათლება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის’**

პროექტი **‘გააციფრულე მომავალი’** განახორციელა ორგანიზაცია დემოკრატიის ლაბორატორიამ. პროექტის მიზანი იყო ციფრული აქტივაციისა და დისტანციური დასაქმების გზით, პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, მოთხოვნადი ციფრული პროფესიების შესწავლა, უნარების შეძენა და შესაძლებლობების გაძლიერება. პროექტში მონაწილეობა მიიღო პანკისში მცხოვრებმა 60-მა ახალგაზრდამ, რომლებიც ღია კონკურსის საშუალებით შეირჩნენ და მათი ინტერესებისა და სამოტივაციო წერილების საფუძველზე, შესაბამისი მიმართულების ჯგუფებში გადანაწილდნენ. ეს მიმართულებებია:

- ტექსტის წერა და ამბის თხრობა;
- გრაფიკული დიზაინი;
- სოციალური მედიის მართვა და ციფრული მარკეტინგი;
- მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია;
- მენეჯმენტი/თვითდასაქმება/აქტივიზმი და ადვოკატირება;
- ციფრული და მედია წიგნიერება.

სრულფასოვანი თეორიული კურსის ჩატარების შემდეგ, ტრენერების მიერ შეირჩა 18 ახალგაზრდა, რომლებმაც პროექტის შემდეგ ეტაპზე, პარტნიორ ორგანიზაციებში, ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარეს. სტაჟირებისთვის შერჩეულ თითოეულ ახალგაზრდას

სერტიფიკატებთან ერთად გადაეცათ ტექნიკაც (ლეპ-ტოპები), რათა სრულფა-სოვნად შეძლონ დისტანცი-ურად მუშაობა.

პროექტი **'ვიზუალური განა-თლების ცენტრი პანკისის ხეობაში: ალტერნატიული განათლება სამოქალაქო საზოგადოების განვი-თარებისთვის'** განახორცი-ელა ორგანიზაცია **თბილისის ფოტო ფესტი-ვალმა**. პროექტის მიზანი იყო ინოვაციური და ალტერნატიული საგანმანთლებლო მეთოდებით, პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების გაძლიერება. პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში ვიზუალური განათლების ცენტრი (პანკისის მედიათეკა) შეიქმნა. რომელიც აღჭურვილია ქართველი, რეგიონული და საერთაშორისო ფოტოგრაფების მულტიმედია პროექტების ამსახველი მასალით. ვიზუალური განათლების ცენტრში - პანკისის მედიათეკა მასპინ-ძლობდა „სურათების ფაბრიკის" სესიებს, საჯარო ლექციებს და მასტერკლასებს ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა

GCSD არანაკლებ მნიშვნელობას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ფართო საზოგადოებასთან ინტეგრაციას ანიჭებს, რაც ასევე რჩება ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევად. 2022 წელს, ორგანიზაციამ ფონდი ღია საზოგადოების მხარდაჭერით დაიწყო პროექტი - „მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობა საქართველოს სკოლებში". პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ ცოდნის გაზრდას, მათთვის დამატებითი სასწავლო რესურსების მომზადებისა და პედაგოგებისთვის ეფექტური სწავლების გაძლიერების გზით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ ნარატიული მასალები, მომზადდება ანიმაციური სასწავლო ვიდეოები და ტელე-რადიო სიუჟეტები, და მოხდება სასკოლო სასწავლო პროგრამაში მათი ინტეგრირება. ასევე, ჩატარდება სემინარები პედაგოგებისთვის და საჯარო ლექციები ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების შესახებ.

პროექტის დაწყების დღიდან უკვე გამოცხადდა კონკურსი ექსპერტის/ექსპერტების ჯგუფის შესარჩევად, რომლებიც შექმნიან ნარატიულ მასალებს. კონკურსის შედეგად, შეირჩა ექსპერტების ჯგუფი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურულ კვლევათა ინსტიტუტი, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს.

სოციალურად დაუცველი პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

სოციალურად დაუცველი პირები (SVGs) ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. მათი მდგომარეობის გამოსწორება დიდწილადაა დამოკიდებული სიდუხჭირის დაძლევაზე. ამ მიზნით, GCSD-მ 2022 წელს განახორციელა პროექტი - ,,სოციალურად დაუცველ პირთა (SVGs) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მასშტაბით". პროექტს ფინანსურად მხარს უჭერდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები 51 სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან და გამოავლინდა 100-ზე მეტი ადგილობრივი პოტენციური პარტნიორი EG-ისთვის, მათ შორის (ა) ადგილობრივი მედია, (ბ) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და (გ) წინა წლების საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები. მომზადდა რაოდენობრივი კვლევითი ანგარიში იმ გამოწვევების შესახებ, რომლებსაც სოციალურად დაუცველი ჯგუფები განაცხადის რეგისტრაციისას აწყდებიან. დაქირავებული ექსპერტის ავტორობით შეიქმნა საკომუნიკაციო პროტოკოლი, რომელიც პროგრამისთვის „აწარმოე საქართველოში" ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს SVG-ების ჩართულობის გასაზრდელად. ამასთან, პროექტის გუნდმა პროგრამის მეორე ეტაპზე გადასული SVG-ის წარმომადგენელი აპლიკანტებისთვის ინტერვიუსთვის მოსამზადებელი კონსულტაციები

გამართა. დაქირავებულმა ექსპერტებმა, სატელეფონო ზარების საშუალებით, კონსულტაციები 150 დარეგისტრირებულ აპლიკანტს ჩაუტარეს.

გენდერული თანასწორობა და ქალთა ხელშეწყობა

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პრობლემიდან გამომდინარე, GCSD-ს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს ქალების ხელშეწყობა წარმოადგენს. ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებელია ზოგადი კეთილდღეებისა და მდგრადი განვითარებისათვის.

ამ კუთხით, GCSD ახორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს, მათ შორის ‘აირექსის’ (IREX) გლობალურ პროგრამის ‘‘SHE’s GREAT!-ს’’ რომელიც დაფუძნებულია გენდერული თანასწორობისა და სამოქალაქო ჩართულობის პრინციპებზე.

2022 წელს, SHE’a GREAT!-ის პირველი ფაზის ფარგლებში GCSD-მ განახორციელა ვირტუალური სასწავლო გაცვლა საქართველოში შერჩეულ პროექტის ელჩებსა და პროექტის მონაწილე სხვა ქვეყნის ელჩებს შორის. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ სხვა მონაწილეებს ყირგიზეთიდან და იორდანიიდან, და გაეზიარებინათ გენდერულ თანასწორობსთან, გენდერული ნიშნით ძალადობასთან და სტერეოტიპებთან დაკავშირებით თავიანთი დაკვირვებები და მოსაზრებები. ამავე პერიოდის განმავლობაში GCSD, IREX-თან ერთად აქტიურად მუშაობდა SHE’s GREAT!-ის გლობალური აქტივობების დიზაინის შექმაზე, ისევე როგორც ახალი ფაზის განახლებულ კონცეფციაზე.

2022 წლის აგვისტოში, GCSD-მ მუშაობა დაიწყო მეორე ფაზაზე. აღსანიშნავია, რომ მეორე ფაზა მოიცავს აქტივობებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ქვეყნის შიგნით, შეირჩა პროექტში ჩართული რვა სკოლა სხვადასხვა რეგიონებიდან სადაც ჩამოყალიბდა „გენდერი და ჩემი გარემოს“

კლუბები. მონაწილეებს ჩაუტარდათ 8 კვირიანი ტრენინგ-სესიები გენდერული სტერეოტიპების, გენდერულ ნორმების იდენტიფიცირებისა და გარდაქმნის შესახებ. ტრენინგ სესიების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ შეიმუშაონ და თავიანთ სკოლებსა და თემში განახორციელონ ახალგაზრდული ინიციატივები.

საერთაშორისო დონეზე, GCSD ხელმძღვანელობს SHE's GREAT!-ის გლობალურ აქტივობებს, რომელშიც ჩართულია 5 ქვეყანა: ყირგიზეთი, იორდანია, საქართველო, სანტა-ლუსია და გვატემალა. მოცემულ პერიოდში, მონაწილე ქვეყნებმა შეარჩიეს პროექტის ელჩები და მეგობარი ექსპერტები, რომლებთანაც ჩატარდა საკოორდინაციო შეხვედრა მომავალი გეგმების შესახებ. 2023 წელს, ელჩები და პროექტის მეგობარი ექსპერტები იმუშავებენ "გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი ახალგაზრდული დოკუმენტი-ს" შექმნაზე. პროექტის ფარგლებში, მონაწილეებისთვის ასევე იგეგმება "საგანმანათლებლო ვიზიტი ელჩებისთვის" და სამეცნიერო-ტექნოლოგიური (STEAM) ბანაკის განხორციელება.

ხაზგასასგმელია რომ ქალთა მხარდასაჭერად, 2022 წელს GCSD-მ ასევე დაიწყო პროექტი "სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამაში, „დანერგე მომავალი", ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა". პროექტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC)-ს მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ინტერვიუები ჩატარდა, რომლის მიზანიც პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღება და ბენეფიციართა ინტერესების განსაზღვრა გახლდათ. აღნიშნული ინტერვიუების და მათ მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების შედეგად ხუთი სამიზნე მუნიციპალიტეტი დაიდენტიფიცირდა.

საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობა

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ქვაკუთხედია. მისი შენარჩუნება ქვეყნისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად, GCSD, არაერთი წელია სხვადასხვა მნიშვნელოვან ინიციატივებსა და პროექტებს უჭერს მხარს. მათ შორის, 2022 წელს, ნატოს სახალხო დიპლომატიის დეპარტამენტის დაფინანსებით

განხორციელდა პროექტი - ,,უკეთ გავიცნოთ ნატო", რომელიც მიზნად ისახავდა ნატოს შესახებ საქართველოს ახალგაზრდობისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას შემდეგ საკითხებზე: (1) ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც მიღებულ იქნა 2022 წლის ივნისში, (2) ალიანსის პასუხი უსაფრთხოების აქტუალურ გამოწვევებზე და (3) ნატო-საქართველოს პარტნიორობის გავლენა საქართველოს თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებაზე.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ნატოს ახალგაზრდული აკადემია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულ-მა სტუდენტებმა. ამას-თანავე, განხორციელდა ინფორმაციული ვიზიტები რეგიონებში, გაიმართა ნატოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე ონ-ლაინ დისკუსიები, გამო-ცხადდა სტუდენტების კონკურსი და მომზადდა პუბლიკაცია 8 ავტორის მონაწილეობით.

ამის პარალელურად გრძელდება პროექტი „ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა, ფაზა II“ (Facility for the implementation of the EU – Georgia Association Agreement – II). პროექტი, რომელიც მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ, 2019 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდება. პროექტი ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებებში აღებული ვალდებულებების მხარდაჭერას უწყობს ხელს, და თანამშრომლობს სამთავრობო ინსტიტუტებთან, პარლამენტთან, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და ბიზნეს გაერთიანებების წარმომადგენლებთან. მხარდაჭერა სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: 1) ევროკავშირი-საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულებების და ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის კოორდინაციის, მონიტორინგის, ანგარიშგების გაძლიერების კუთხით; 2) სექტორთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელების კუთხით; 3) საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობის და კომუნიკაციის კუთხით;

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული აქტივობები მიზნად ისახავდა პროექტის ძირითადი კომპონენტების შესრულებას, მათ შორის საჯარო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკის შემუშავებაში, დაგეგმვაში, კოორდინაციაში, მონიტორინგში, ანგარიშგებასა და შეფასებაში, რათა დაჩქარდეს ევროკავშირი-საქართველოს ორმხრივი შეთანხმებების უფრო ეფექტური განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სექტორული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობაზე, კანონმდებლობის დაახლოების პროცესის ხელშეწყობაზე და სხვადასხვა სუბიექტის დახმარებაზე რეგულირების ზემოქმედების შეფასების განხორციელებაში. ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა AA/DCFTA-ს განხორციელების პროცესის შესახებ სტრატეგიული კომუნიკაციისა და ურთიერთობის გაღრმავებაზე და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესა და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზანმიმართულ გაუმჯობესებაზე. დამატებით, ასევე განხორციელდა აქტივობები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ბენეფიციარის მიერ გამოვლენილი და გამოხატული საჭიროების და პროექტის თანხების ხელმისაწვდომობის საფუძველზე.

საუბრები ელჩებთან

საგარეო პოლიტიკის საკითხებზე დიალოგისა და გააზრების ხელშესაწყობად, GCSD-მ 2022 წელს წამოიწყო ახალი ინიციატივა - საუბრები ელჩებთან. ინიციატივის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნის პერსპექტივებს დღის

წესრიგში არსებულ ყველაზე აქტუალურ გლობალურ თუ რეგიონალურ საკითხებზე. შეხვედრები იმართება „ჩეთემ ჰაუსის წესების“ შესაბამისად და მას მოწვეული ექსპერტებისა და აკადემიკოსების მცირე ჯგუფი - დაახლოებით 15 ადამიანი ესწრება. მიჩნეულია, რომ მსგავსი ფორმატი უზრუნველყოფს ღია და სიღრმისეულ ინტერაქციას და დიალოგს. გასულ წელს გაიმართა ოთხი შეხვედრა, რომელზეც GCSD-მ თურქეთის, ბრიტანეთის, ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩებს უმასპინძლა.

სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება



თანამედროვე კომპლექსური საინფორმაციო გარემოსა და ჰიბრიდული საფრთხეების გათვალისწინებით სტრატეგიული კომუნიკაციების როლი და მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება. უკვე არაერთი წელია რაც GCSD ცდილობს ქვეყანაში მდგრადი და ეფექტიანი სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარებას შეუწყოს ხელი, რა მიზნითაც შესაბამის პროექტებსა და ღონისძიებებს ახორციელებს. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური დახმარებით, ხორციელდება პროგრამა - “სტრატეგიული კომუნიკაციები უკეთესი მომავლისათვის”, რომლის ფარგლებში 2022 წელს შემდეგი აქტივობები ჩატარდა:

- შეიქმნა პირველი ქართულენოვანი სტრატეგიული კომუნიკაციების სახელმძღვანელო. დოკუმენტში აღწერილია სტრატეგიული კომუნიკაციის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითადი მიდგომები და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება. ამასთანავე, სახელმძღვანელო მაქსიმალურად არის მორგებული ადგილობრივ კონტექსტს და საჭიროებებს;

- შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების პირველი ონლაინ სასერთიფიკატო კურსი, რომელიც მოიცავს ვიდეო ლექციებს, საკითხავ მასალას, პოსტ-ტესტებს და სხვა შესაბამის მასალებს თითოეული სესიისთვის.

- საჯარო სექტორის სპიკერებისთვის მომზადდა სპეციალური მოდული და ჩატარდა ტრენინგები რომელშიც მონაწილეობა 13 სამინისტროს წარმომადგენლებმა მიიღეს. ტრენინგისთვის გამოყენებული სასწავლო მოდული გადაეცა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ ინსტიტუტს;

- გადამზადდნენ საზღვარგარეთ საქართველოს მისიებში კომუნიკაციებზე პასუხისმგებელი დიპლომატები. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 65-მა სხადასხვა ქვეყანაში მყოფმა დიპლომატმა. ტრენინგი მიზნად ისახავდა, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერებას;

- ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა საქართველოს ორ რეგიონში: სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამიზნე აუდიტორიისა და საინფორმაციო გარემოს შესწავლა, ასევე ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროებისა და საზოგადოების დამოკიდებულების ანალიზი ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე პროცესების მიმართ. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის;

- ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა სტრატეგიული კომუნიკაციების უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან, რაც მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის გაუმჯობესების მხარდაჭერას. სხვადასხვა სამინისტროს საჭიროებების გათვალისწინებით წამყვანმა საერთაშორისო ექსპერტებმა ჩაატარეს საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს მთავრობის შესაბამის წარმომადგენლებთან.

ვაქცინაცია და ჯანდაცვა



მოსახლეობის მასშტაბური ვაქცინაცია გავრცელებულ დაავადებებზე, მათ შორის Covid-19-ზე, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ქვეყნის სტაბილური გარემოს უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით, GCSD-მ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური დახმარებით, 2022 წელს განახორციელა პროექტი - „ვაქცინაცია საქართველოსთვის“. პროექტი მიზნად ისახავდა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ სწორ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას და მასობრივი ვაქცინაციის მხარდასაჭერად მოსახლეობის სკეპტიკური განწყობების შეცვლას. პროექტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზანს ასევე წარმოადგენდა ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ინფოდემიასა და დეზინფორმაციასთან გამკლავება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსახლეობის მედეგობის ამაღლებას და ვაქცინაციასთან დაკავშირებით, გაცნობიერებული და ფაქტებზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებას.

პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის და მათი უშუალო ჩართულობის გზით, სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, მათ შორის: ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარი განწყობების იდენტიფიცირების მიზნით, ჩატარდა რეპრეზენტატული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები, მთავარი აქტორებისა და დაინტერესებული პირებისათვის დაორგანიზდა ტრენინგები თემაზე: „როგორ ვებრძოლოთ დეზინფორმაციას და ხელი შევუწყოთ ვაქცინაციას“, ადგილობრივ მედიაში წარიმართა მრავალმხრივი მედია–კამპანია, კარდაკარის პრინციპით სამიზნე სოფლებსა და თემებში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები და სხვა.

პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ვაქცინაციის დაწყებიდან დღემდე, აცრის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდებო-და. ეს რეგიონებია: კახეთი, ქვემო ქართლი და სამცხე–ჯავახეთი. პროექტის ფარგლებში მომზადებული უკლებლივ ყველა საკომუნიკაციო მასალა ხელმისაწვდომია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

GCSD-ის დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები

GCSD-ის საქმიანობის ეფექტურად განხორციელება და დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევა შესაძლებელი გახდა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან ახლო თანამშრომლობით.

დონორები:

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UNITED STATES AND GEORGIA
CELEBRATING THIRTY YEARS OF PARTNERSHIP

ევროკავშირი საქართველოსთვის

Kingdom of the Netherlands

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

swisscontact

IREX

NATO OTAN

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz

პარტნიორები:

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

NCDC

აჭარის საქართველოში

Universidade do Minho
Escola de Economia e Gestão

American University of Central Asia

ADA

EU CYBER DIRECT

B&S EUROPE

McChrystal Group

CORE LIBRARY

ibf INTERNATIONAL CONSULTING

PHRONESIS CONSULTING & TRAINING

Füüse

INSTITUTE FOR WAR & PEACE REPORTING
IWPR

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

GITAC

MPCG

KRDF
კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

Journalism Resource Center

QQ

MCK

TBILISI PHOTO FESTIVAL

TBILISI PHOTOGRAPHY & MULTIMEDIA MUSEUM.

UK

ფონდი ტასო
Taso Foundation

GCSD

2022 წლის ანგარიში ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ

www.gcsd.org.ge
gcsd@gcsd.org.ge
032 2 22 26 67
მცხეთის ქუჩა #48/50